სსკგ-ს თავმჯდომარის გამოსვლა რელიგიათშორის შეხვედრაზე „რელიგია და განათლება“

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა, რელიგიათშორის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა თემაზე „რელიგია და განათლება", რომელიც 2021 წლის 5 ოქტომბერს ვატიკანში გაიმართა.

თქვენო უწმინდესობავ, დღევანდელი შეხვედრის პატივცემულო მონაწილენო!

ჩვენს დროში სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ კარგი განათლება შეუძლებელია, თუკი მის საფუძველში არ დევს მარადიულ ღირებულებები, რომლებიც ხორცშესხმულია რელიგიის წარუვალ სიბრძნეში.

ქრისტიანებს აერთიანებს რწმენა იმისა, რომ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს პიროვნებაში ღმერთის სიბრძნემ მიიღო თავისი უკიდურესად თვალსაჩინო გამოხატულება. თავად ქრისტე არის ჩვენი საგანმანათლებლო ფასეულობების არსი, რომელიც ჩვენ აუცილებლად უნდა გადავცეთ მომავალ თაობებს.

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს პიროვნება შთაგონების წყაროდ იქცა უამრავი მწერლის, პოეტის, მხატვრის, კომპოზიტორის, მეცნიერისთვის, რომლებმაც ადამიანის სულისა და გონების ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი ნამუშევრები შექმნეს.

მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან.

თ.მ. დოსტოევსკის, რომელსაც კატორღული შრომა მიუსაჯეს და ტობოლსკის ციხეში ბორკილებით მიიყვანეს, უცნობმა ქალმა სახარება აჩუქა. აღმოჩნდა, რომ ეს იყო ერთადერთი წიგნი, რომლის ტარების და წაკითხვის უფლებაც დაშვებული იყო ციხეში.

დოსტოევსკი ამ წიგნს არც კატორღაში და არც მომდევნო წლებში არ განშორებია. ის იყო არა მხოლოდ მისი სამაგიდო წიგნი – ის იყო მისი მთელი ცხოვრების წიგნი. მწერლის ნაშრომებში ჩვენ ვიპოვით ბევრ ციტატას და ალუზიას, რომელიც მკითხველს ახალ აღთქმასთან აგზავნის. მრავალი სახარებისეული სურათი უდევს საფუძვლად მის ფილოსოფიურ შეხედულებებს, ქრისტეს მრავალი ნათქვამი ხდება ამოსავალი წერტილი მისი რომანების გმირების მსჯელობებში. ჩვენ ვერ შევძლებთ დოსტოევსკის გაგებას, თუკი ვერ გავაცნობიერებთ იმ განსაკუთრებულ როლს, რაც სახარებამ შეასრულა მის შემოქმედებასა და ცხოვრებაში. ქრისტეს ბრწყინვალე ხატება მისთვის უმაღლესი ზნეობრივი და სულიერი იდეალი იყო. ამ იდეალის შესახებ ის მოუთხრობდა თავის თანამედროვეებს და დღეს ყველა ჩვენგანისთვისაც განაგრძობს თხრობას.

იესო ქრისტეს პიროვნებაშია ჩვენი მთავარი საგანძური, და ჩვენ მოხარული ვართ ეს საგანძური სხვა რელიგიების წარმომადგენლებსაც გავუზიაროთ. იესო ქრისტე უფრო მეტია, ვიდრე ქრისტიანობა. ის მთელ კაცობრიობას ეკუთვნის. და მას სათქმელი აქვს ყველა ადამიანისთვის.

იესო ქრისტეს პიროვნებისკენ მიქცევას შეუძლია უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრაში დაგვეხმაროს: გავაუმჯობესოთ მთელს მსოფლიოში განათლების ხარისხი, გავხადოთ განათლების სისტემა უფრო დაბალანსებული, რომელსაც შეეძლება უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს და ამავე დროს ფესვგადგმული იოქნება ადამიანის მიერ ღმერთის პოვნის სურვილში.

ეს სურვილი მართლაც უნივერსალურია. ნეტარმა ავგუსტინე იპონელმა ეს საოცრად გამოხატა: „შენ ჩვენ შენთვის შეგვქმენი, და ჩვენმა გულმა არ იცის მოსვენება, სანამ შენში არ განისვენებს“. ადამიანის გულის ყველაზე ძლიერი სურვილის დასაკმაყოფილებლად ჩვენ უნდა განვიხილოთ განათლება მთლიანად,

როგორც ინტელექტუალური და სულიერი ზრდის გზა, რომელზე შედგომოითაც ადამიანი უსასრულო სიხარულს იძენს.

დაე, მომავალშიც ეს აღქმა ყოფილიყოს რელიგიათშორისი ურთიერთობების გულისგულში და გაეგრძელებინოს კეთილი ნაყოფების გამოღება.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88202/